სულ რაღაც ათიოდ წუთში

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 11 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი) 3:1 (0:0).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გ. მაჩაიძე (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია (მინაშვილი).

“ზენიტი”: ოლეინიკი, დავიდოვი, ლოხოვი, გოლუბევი (კლემენტიევი), კუზნეცოვი, კრიშჩუკი, იაკიმცოვი, ლაგოდა, რედკოუსი, მელნიკოვი, ტიმოფეევი.

მსაჯი: ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს შენგელიამ (44–ე წ.), ქორიძემ (76–ე წ.), ჩელებაძემ (78–ე წ.) და ტიმოფეევმა (84–ე წ.).

ჩემპიონატის ბოლო ოთხი მატჩი (სამი საკუთრ მინდორზე) “ზენიტმა” ფრედ ითამაშა, გაიტანა 2 გოლი (ერთი მათგანი პენალტით). რა თქმა უნდა, ზედიზედ მეხუთე ფრე, თუნდაც ლიდერთან შეხვედრაში, ლენინგრადელთათვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო – პატიოსან ორთაბრძოლაში წვალებით აღებული ყოველი ასეთი ქულა, უკვე სავსებით აშკარაა, რომ მეორე წრეში მოწამლული გამოდგება. მაგრამ სურვილი სურვილადვე რჩება, როცა საამისო ძალა არ მოგდევს. ნევისპირელებმა ორი შტატიანი თავდამსხმელი კი გამოიყვანეს მინდორზე (რედკოუსი, ტიმოფეევი), მაგრამ ფაქტიურად საქმე ისე აეწყო, რომ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში გუნდის ძალა ერთი მიზნისთვის დაიხარჯა – როგორმე გადარჩენილიყო ქულა.

პირველი წუთებიდანვე ყიფიანსა და შენგელიას საკუთარი მეურვეები გაუჩნდათ. ერთს – იაკიმცოვი, მეორეს – ლოხოვი. აქვე მივათვალოთ დაცვის ცენტრში მოქმედი წყვილი კუზნეცოვი–გოლუბევი და ნათელი გახდება, რომ გარემარბის უყოლობის გამო თბილისელებს ძალზე გაუჭირდებოდათ ამ კედლის გარღვევა.

მეორე ტაიმში გამოსულმა ჩელებაძემ ფლანგისკენ წააგრძელა სტუმართა დაცვა, “დინამომ” ტემპსაც უმატა და ბოლო მატჩებში მეტოქეთა მარწუხებში მოქცეულმა შენგელიამ ცოტა შვებით ამოისუნთქა. რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი, მერე კი ახალგაზრდა ფორვარდმა მაინც მიაღწია საწადელს – ყიფიანის გადაცემა დროულიც იყო და ზუსტიც.

აქედან მოყოლებული მატჩის დასასრულამდე თამაშის ხასიათის შეცვლაც, სულ რაღაც ათიოდ წუთში სამი გოლიც ამ შედეგიანი კომბინაციის ლოგიკური გაგრძელება გამოდგა.

“ზენიტი” ცვლის ფეხბურთელს. აქამდე საიმედოდ მოთამაშე გოლუბევის (მწმენდავი) ნაცვლად სტუმართა თავდასხმის დუეტს კიდევ ერთი ფორვარდი კლემენტიევი ემატება. “დინამოს” კართან გახშირდა სახიფათო მომენტები, მაგრამ ერთობ იოლად გასავლელად იქცა ლენინგრადელთა დაცვაც. ქორიძემ, ჩელებაძემ, და ტიმოფეევმა მშვენივრად გამოიყენეს ეს “შეღავათები”.

რა თქმა უნდა, მატჩის შემდეგ შეიძლება საეჭვოდაც მოგვეჩვენოს, იქნებ რისკიანიც ვუწოდოთ “ზენიტის” მწვრთნელთა ამ სვლას, მაგრამ უკეთესი საშუალება ალბათ აღარც იყო. ნევისპირელები დაისაჯნენ და ეს სასჯელი თუნდაც იმიტომ არის კანონზომიერი, რომ მხოლოდ ქულაზე ფიქრს იშვიათად დაუყრია ხეირი ვინმესთვის.

ი ბერიაშვილი.

“ლელო”, 13 ივნისი, 1978 წ.